საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 532

29 08 2014 წ.

ქ. თბილისი

2014 წლის 30 აგვისტოს სამუშაო დღედ გამოცხადებისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისათვის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დაკისრების თაობაზე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) საქმიანობის ხელშეწყობისა და საბჭოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის" (დანართი №2) მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის მე - 17 მუხლის მე - 4 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2014 წლის 30 აგვისტო გამოცხადდეს სამუშაო დღედ და სამუშაოს შესრულება დაევალოთ ცენტრში დასაქმებულ მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა) ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;

ბ) ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

გ) ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

დ) თამთა კობახიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ე) ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის სასწავლო მასალების კოორდინატორი;

ვ) დავით დოლიძე - სპეციალისტი;

ზ) კახა თეთრაძე - სპეციალისტი;

თ) მადინა მარღანია - კანცელარიის საქმეთა ზედამხედველი.

2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ დასაქმებულებს, კომპეტენციის გათვალისწინებით, დაევალოთ 2014 წლის 30 აგვისტოს საბჭოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერისა და საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული დასაქმებულების მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი , ელენე ჯიბლაძე